

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს

აკადემიური პოზიციების დასაკავებლად:

1. კონკურსი ცხადდება შემდეგი მიმართულებებით:
 - 1.1 **სასოფლო-სამეურნეო ენტომოლოგია - აკაროლოგია** ასოცირებული პროფესორი;
 - 1.2 **აპიკულტურა** - ასოცირებული პროფესორი;
- 2 საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
 - 2.1. ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად აღნიშნულ მიმართულებებზე პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება. ასევე,
 - შესაბამის სფეროში თეორიული და პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება;
 - ინტენსიური პედაგოგიური საქმიანობის განხორციელება აღნიშნული მიმართულებებით;
 - მულტი დისციპლინარული ცოდნა და გამოცდილება;
 - საგრანტო პროექტების განხორციელების გამოცდილება;
 - ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული პუბლიკაციები ციტირებად გამოცემებში;
 - ინგლისური ენის ცოდნა.
3. აკადემიური თანამდებობები შეიძლება დაკავებული იქნეს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ. ამ შემთხვევაში, პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამის კვალიფიკაციად ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლების შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია.
4. განცხადებების მიღება იწარმოებს **2021 წლის 18 ნოემბრიდან - 2021 წლის 22 ნოემბრის ჩათვლით**.
5. განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს:
 - 5.1. ბიოგრაფია (CV);
 - 5.2. სამოტივაციო წერილი (1 გვერდი);
 - 5.3. შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის პროექტი;
 - 5.4. ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
 - 5.5. პუბლიკაციების ჩამონათვალი;
 - 5.6. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

6. დოკუმენტაციის მიიღება ხდება ელექტრონულად, გთხოვთ გადახვიდეთ მითითებულ ბმულზე და შეავსოთ ყველა სავალდებულო ველი – <https://form.jotform.com/212873435223453>

7. კონკურსი ტარდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ხოლო მეორე ეტაპზე ჩატარდება გასაუბრება/საჩვენებელი ლექცია.

8. კონკურსის პირველი ეტაპი გაიმართება **2021 წლის 23 ნოემბრიდან – 2021 წლის 25 ნოემბრის ჩათვლით**, ხოლო გასაუბრება/ საჩვენებელი ლექცია საკონკურსო კომისიასთან გაიმართება **2021 წლის 26 ნოემბრიდან – 2021 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით**.

9. შრომის ანაზღაურება და შრომის სხვა პირობები განისაზღვრება შერჩეულ პირთან შეთანხმების საფუძველზე.

10. **საკონტაქტო ინფორმაცია:**

მისამართი: 0159, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი # 240, კახა ბენდუქიძის კამპუსი.

ვებ-გვერდი: www.agruni.edu.ge

ელ.მისამართი: Vacancy@agruni.edu.ge